გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

**ხელობაძა აქვს გეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთის წუთის სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც მალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არავრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდთფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—15)


31 მაისს, კვირას, დილის 11 საათზედ, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

3) საზოგადოების წევრთა არჩევანი. (6—2)

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 19 მაისს, სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა საზოგადო კრება დილის 9 საათიდგანვე იყო მოწვეული. კრება თითქმის ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდე სიების გასინჯვას მოუნდნენ. შემდეგ დიდი ბაასი გამოიწვია თ. ჯანდიერთა მამულის საქმემ. ამ საქმეს შემდეგ სავსებით გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს. დასასრულ ერთ-ხმად ამოირჩიეს ზედამხედველ კომიტეტის წევრად თ. პ. გრუზინსკი. სადირექტოროდ, თ. ავალიშვილის მაგიერ, ყუთი დაუდგეს თ. ავალიშვილსა და თ. დ. ფავლენიშვილს. კენჭი სულ 588 იყო. პირველს—თ. ავალიშვილს ამოუვიდა 318 თეთრი და 270 შავი, ხოლო მეორეს—ფავლენიშვილს: 279 თეთრი და შავი აღარ დაუთვლიათ საზოგადო კრების სურვილის თანახმად. დირექტორის კანდიდატად ერთხმადვე ამოირჩიეს თ. მ. გ. გრუზინსკი.

დამფასებლად იყარეს კენჭი ა. ნ. ფურცელაძემ, გ. ს. ციციშვილმა, ა. გ. მირზაშვილმა და გ. დ. ლოლაძემ. თ. გ. ციციშვილს ამოუვიდა 343 თეთრი, 173 შავი, ა. ნ. ფურცელაძეს—385 თეთრი, 134 შავი, ა. გ. მირზაშვილს 208 თეთრი და გ. დ. ლოლაძეს 143 თეთრი. ამორჩეულ იქმნენ დამფასებლად ა. ნ. ფურცელაძე და გ. ს. ციციშვილი, ხოლო მათ კანდიდატებად კრებამ ერთხმად აირჩია მ. ქ. ყიფიანი და თ. დ. ჩოლოყაშვილი.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება სპარსეთის ელჩი მირზა-მაჰმად-ხანი, რომელიც თეირანს მიემგზავრება.

*** მთავარ მართებლის განკარგულებით ტფილისის გუბერნატორს ხაზინიდგან მიეცა კიდევ 1,724 მან. და 1 კაპ. კალიის გაწყვეტაზე მოსახმარებლად.

*** ი. ი. ასათიანს ტფილის ქალაქის გამგეობისთვის წარუდგენია პროექტი მიხეილისა და ელისაბედის ქუჩებს შუა ახალ ქუჩის გაკეთების შესახებ. ამ პროექტით ახალი ქუჩა ბეგთაბეგოვისა და მაიერის ცალიერს ადგილებს შუა უნდა იქმნას გაკეთებული.

*** კვირას, 17 მაისს, ვანქის ტაძარში წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი მოსახსენებლად სომეხთა ფილანტროპის სანასარიანისა, რომელიც შარშან საფრანგეთში გარდაიცვალა და ვანქის გალავანში დაასაფლავეს. პანაშვიდს ყველა ტფილისში მყოფი დელეგატი და ბრავალი ხალხი დაესწრო.

*** სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზების საზოგადოების სახელოსნოში საგანგებო ვაგონი-ცისტერნი გაუკეთებიათ ღვინის გადასატან-გადმოსატანად.

*** ტფილისის სასამართლოს პალატის თავმჯდომარე ს. ს. ფონ-ვენდრიხი ტფილისში დაბრუნდა.

*** პეტერბურგიდგან დეპეშით მკურნალთა სასანიტარო კომისიას ებრძანა, რომ დაუყოვნებლივ გაემგზავროს იმიერ კასპის მხარეს, რადგანაც იმ ადგილებს ხოლერა ახლოვდება.

*** ტფილისის პოლიცმეისტრისაგან მოგვივიდა ცნობანი შესახებ თავშესაფარისა, რომელიც 1 მაისს იქმნა გაუქმებული. ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ თავშესაფარი 2 ნოემბერს არის დაარსებილი. 10 ნოემბრიდგან თავშესაფარს ყოველ დღე ემატებოდა რუსეთის დაზარალებულ გუბერნიებიდგან მოსული ხალხი და მალე 200 კაცამდე მიაღწია. ხალხი რომ აღარ ეტეოდა თავშესაფარში მეორე სახლი იქმნა დაქირავებული. 1892 წლის იანვარში ორივე თავშესაფარში ყოფილა 360 კაცი. თებერვალში ერთს თავშესაფარში ოთხი კაცი შავის სიხადით გახდა ავად, მაგრამ დროზედ ყოველ გვარი ღონის ძიება იქმნა მიღებული და ეს სენი სხვებს არ გადასდებია. მარტიდგან თავშესაფარში ხალხს თანდათან აკლდებოდა.

თავშესაფარის ხალხი სამუშაოდ დადიოდა და თითო კაცი თთვეში შოულობდა 12—15 მანათს. მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფარში სხვა-და-სხვა ეროვნების ხალხი იყო (გერმანელები, რუსები, თათრები) იქ არავითარი ბოროტ-მოქმედობა არა მომხდარა-რა, და ქალაქშიაც არც ერთი თავშესაფარის კაცი არ შეუმჩნევიათ ქურდობაში ან სხვა რაიმე დანაშაულში. თავშესაფარის დაარსესიდგან იანვრამდე იქ მყოფს ხალხს უფასოდ აჭმევდნენ სადილს და იანვრიდგან 1 მაისამდე ვახშამსაც. ავადმყოფებს რძესა და თეთრს პურს აძლევდნენ. ვისაც სამშობლოში წასვლა უნდოდა, ეძლეოდა რკინის გზის მუქთა ბილეთი და საგზაო ფული.

ნოემბრიდგან 1 მაისამდე თავშესაფარს მიუვიდა შემოწირულება 4320 მან. 81 კაპეიკი. ამ ფულიდგან დაიხარჯა: 511 მანათი სახლის ქირა, თავშესაფარის ზედამხედველს მიეცა ჯამაგირად 90 მან. ჰურჭელისა და და სხვა ნივთების ყიდვაზე—129 მ. 62 კაპ. საჭმელ-სასმელზე—1528 მან. 17 კაპ. ავადმყოფების წამლობაზე—296 მან. 55 კაპ. შეშაზე—236 მან. შემწეობად მიეცათ სახლში წამსვლელებს—125 მან. ობოლის ქალის სოფიოს შენახვაზედ 200 მან. საპკურებელს წამლებზედ 22 მან. სულ დაიხარჯა 3,138 მან. 34 კაპ. დარჩა კიდევ 1,182 მან. 47 კაპ. ეს ფული ტფილისის პოლიცმეისტერმა ბანკში შეიტანა მომავალ საჭიროებაზე მოსახმარებლად.

*** ბესლანის სადგური: თერთმეტს ამ მაისს პეტროვსკისკენ რომ გაჰყავთ, იმ ახალ გზაზედ მეხმა მოჰკლა მუშა დურგალი, ალექსანდრე მასლოვი; უცებ რომ წამოუშინა სეტყვანარევმა წვიმამ, ალექსანდრე მასლოვი გაიქცა და დეპეშის—ბოძს მიეყუდა, ამ დროს უცბად დაიჰექა, დაეცა მეხი ბოძს, დეპეშის ბოძიც შუაზედ გააპო და საბრალო მასლოვსაც იმ წამსვე სული გააფთხობინა.

*** ქრისტიანის სოფ. (კავკავის მაზრა): ცამეტს ამ თთვეს აქ დატრიალდა შემდეგი საცოდაობა: ორი ყმაწვილი კაცი, მეზობლები, რომელთაც ერთმანეთი ძლიერ უყვარდათ, ერთად ისხდნენ და ტკბილად მუსაიფობდნენ. ერთს მათგანს ბერდანის თოფი ეჭირა ხელში და სწმენდავდა; თოფი ახლა მეორე ამხანაგმა გამოართვა, გადაატრიალ - გადმოატრიალა, არ იცოდა, თუ გატენილი იყო, გამოსწია ჩახმახს, თოფმა უეცრად იჰექა,—თოფის პატრონს მოხვდა თავში ტყვია. დაჭრილმა ორი დღე იცოცხლა და საბრალო სულ იმას

# ფელეტონი

## ყოველთთვიური პროვინციელისა

(წერილი გურიიდამ)

აპრილი.

კაი გუნებაზე რომ ვიყო, თვალ წინ რომ არ მედგას საანგარიშო თთვეში მომხდარი უბედურება და ვაი-ვაგლახი, ჩვეულებისამებრ, პირველად, რასაკვირველია, დარ-ავდრის შესახებ დავიწყებდი ლაპარაკს და ან აპრილის სინაზ-სიკეკლუცის ამბავს მოგიყვებოდით, მაგრამ, როგორც მოგახსენებთ, ამაებისთვის აღარ მცხელა.

აპრილი ის თთვეა, როდესაც სოფლებს ნაცარ-ტუტას აადენენ და ჩვენს გლეხ-კაცობას ჭირის ოფლს ადენენ ხოლმე. როგორაო იკითხავთ. როგორ და ისე, ბატონო, რომ ყოველ-გვარ სავალდებულოსა და არა სავალდებულო გარდასახადს ამ თთვეში ჰკრებავენ და, და ხომ მოგეხსენებათ, ეს საქმე რა რიგიანად და წესიერად სწარმოებს ჩვენში.

ხშირად, ძალიან ხშირად და თითქმის უმეტეს ნაწილად ხუთსა და ათ მანეთ გარდასახადში საუღლე ხარს უყიდიან გლეხს და ან ცოლის ნამზითევ ხალიჩა-ფარდაგს ართმევენ. სიკვდილის ანგელოზსავით ჩაუდგებიან ოჯახში, სულს არ მოათქმიებენ, ფეხს არ მოაცვლიებენ საბრალო მხვერპლს და ამ ნაირად სრულიად ანადგურებენ იმის ზნეობრივსა და გონებრივს კეთილ-დღეობას.

მერმე ეგ რა კანონი და სამართალიაო, გაოცებულნი წამოიძახებთ თქვენ. ჰმ! კანონი და სამართალი აქ რა შუაშია, რა კიდეშია! კანონი ამ შემთხვევაში ღვთისნიერია და სამართალი მართლ-მკვეთელია, მაგრამ ყოველივე ეს ფუჭი და ამაოა, როცა მეკანონე ღვთის-ნიერობასთან შორს არის და მოსამართლეს მართლ-მკვეთელობისა არა გაეგება რა, თორემ კანონში სხვა რიგად სწერია. კანონი იმას კი არ ბრძანებს, გლეხის ოჯახი დაარბიეთ და დააწიოკეთო, არამედ გაუფრთხილდით და შეინახეთო; დაზოგვით მოიხმარეთ გლეხის ქონებრივი ძალა, რომ სახვალიოთ და საგაისო ანგარიშსაც გაუძლვესო.

საფიქრებელიც არ არის, რომ კანონი სწორედ ასე არ ამბობდეს, რადგანაც დღეს თუ სახელმწიფო გარდასახადში გლეხს ძროხა გაუყიდეთ და ხვალე კიდევ უღლის ხარი, ზეგ თითონ გლეხი დაგირჩებათ გასასყიდად, მით უმეტეს მაშინ, როცა ზოგიერთი გლეხის ავლა-დიდება სულ ეს არის.

ამ ნაირად, ცხადზე უცხადესია, რომ ყოველგვარის გარდასახადის აკრება დიდის სიფრთხილით და დაზოგვით უნდა სწარმოებდეს, მაგრამ ჩვენში ეს ასე არ არის. პირ-იქით ისეთი სისასტიკე და შევიწროება ჩამოვარდება ხოლმე ამ დროს სოფლებში, რომ თათარ-ხნობის და აღამაჰმად-ხანობის დრო მოგაგონდებათ. ჯერ ერთი რომ არავითარ ისეთ გარემოებას, რაიცა გარდასახადის აკრებას აფერხებს, აინუნში არ ჩაიგდებენ. მეორედ, არაოდეს ნახევარ გარდასახადს არ შეჰკრებენ, რაიცა კკონით შესაძლებელია და გლეხთათვის დიდი შეღავათი და მესამედ, სავალდებულო და კანონიერ გარდასახადთა შორის ისეთ გარდასახადსაც გამოატყვრენენ, რომ კანონის დამწერს სიზმარშიაც არ მოლანდებოდეს...

ჯადო-ნაქნარია, თუ შელოცვილი, იმისი რა მოგახსენოთ, ხოლო რომ ყველასაგან და ყველაფერში დავიწყებული და დაბრიყვებულია ჩვენი დალოცვილი გურია, ეს ცხადი ამბავია. ამის მაგალითად თუნდა საფილოქსერო კამიტეტის მოქმედება დავასახელოთ. ხსენებულმა კამიტეტმა საქართველოს ყველა კუთხეში გაამგზავრა თითო დასი ფილოქსერასთანა და ნაცარ-მილდიუსთან საბრძოლველად, ხოლო გურია-კი გახსენებითაც არავის გაუხსენებია. რათა? რა დააშავა გურიამ ისეთი, რომ ამ მხრით სრულიად დავიწყებული და უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა? თუ გურია და გურულები არიან რაშიმე დანაშაულნი, გურულ ვაზსა და ღვინოს რაღა შეცოდება მიუძღვის ან ცისა და ან ქვეყნის წინაშე? ნუ თუ მევენახობის საქმე გურიაში ისე დასავიწყებელია, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთა კეთილდღეობაზე არავითარი გავლენა არ ექნება? საფილოქსერო

ეხვეწებოდა ძმებსა და ნათესავებს, რომ თუ მაგას უყავით რამე, ჩემი მეორე სიკვდილი იქნებაო, რადგანაც ჩემს ძმასავით საყვარელი იყო და უცაბედათ მოუხდაო.

*** ქუთაისი: კვირას, 17 მაისს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ქუთაისში წარმოადგინა „სამშობლო“. წარმოდგენას ხალხი დიდძალი დაესწრო, თეატრი ავსებით სავსე იყო. ქართული დასი ქუთაისიდგან ბათუმში გაემგზავრება და იქ რამდენსამე წარმოდგენას გამართავს, იქიდგან ისევ ქუთაისში ჩამოვა და აქ წარმოდგენებს გამართავს. სხვათა შორის წარმოადგენენ ოპერეტს „ნატვრის თვალს“.

*** სამტრედია: ამ ცოტა ხნის წინად ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა ჩვენში. ერთს გლეხს ძაღლი გაუხელდა; გაცოფებული ძაღლი სოფლად გავარდა, მთელის სოფლის ძაღლები ⁊ სხვა ოთხფეხი ცხოველები დაჰკბინა და შემდეგ პატრონის სახლშივე მობრუნდა. გლეხის მოხუცმა დედამ, როგორც-კი შეატყო ძაღლის გაცოფება—თანახმად ხალხის ცრუ-მორწმუნეობისა, მიუახლოვდა ძაღლს და სამჯერ თაყვანის ცემით უთხრა: „ტრიზო! ასე მადლი გადამიხდია, (თავს უკრავს) რაც ნამსახური გაქვს ჩემ ოჯახზე, კმარა, და ახლა საითაც გენებოს, იქით მიბრძანდი, ღმერთმა გზა ხსნილი მოგცესო“, მაგრამ ცოფიანი ძაღლი დასწვდა დედა-კაცს პირისახეში და ღრმად გაუტარა ბასრი კბილები; საცოდავი დედა-კაცი ძლივძლიობით გადაარჩინეს და ძაღლიც იქავე მოჰკლეს. საბრალო დედაბერს იმდენი შაბიამანი შეახვრიტეს სოფლის მატყუარა ექიმებმა, რომ კინაღამ სულიც ამოჰხადეს.

*** იქიდამვე: სამტრედიის რკინის გზის სადგურზედ ახალს საქონლის საწყობს (товарная контора) აშენებენ. ამ საწყობის მიწის მოყრა და ბაქანის გაკეთება იჯარით აღებული ჰქონიათ ვიღაც შარაშიძეს და ერთს მისს ამხანაგს, რომლებთანაც ორმოც-და-ათზე მეტი აქაურივე მცხოვრები მუშაობდა. ბ-ნს მოიჯარადრეებს თუმცა-კი მიუღიათ ფული, ვისგანაც ჯერ არას, მაგრამ მუშებისთვის არ უნებებიათ მიცემა. დღეს-ხვალეობით ილაჯ გამოცლილი მუშები ბოლოს ძალაზედ დასდგომიან და აი დღეს კიდეც შემორტყმიან დუქანს, რომელშიაც მსხდარან ბ-ნნი მოიჯარადრეები. მუშები სთხოვდნენ თურმე ხვედრს ფულს, 493 მანეთს; წინაალმდეგ შემთხვევაში კარებიდან არ უპირებდნენ გამოშვებას. პოლიციის მოხელეებს ძლივს დაეწყნარებინათ ბრაზ-მორეული მუშები, რომლებისთვისაც შეშინებილს მოიჯარადრებს სამასი მანეთი ფულად მიუციათ და დანარჩენისა-კი ხელ-წერილი. ეს ამბავი მით უმეტეს სამწუხაროა, რომ გლეხებს ჯერ სიმინდის თესვა არ გაუთავებიათ და თავის სახლში აქვსთ სამუშავო; მაგრამ გაჭირვება აიძულებს საწყლებს ქირით დაამუშავონ ყანები და, თუ ცოტაც არის მოსაგებს ქირას შეხვდებიან, თითონ სხვაგან იმუშაონ, რომ ამ ცოტა გამონარჩენით სახელმწიფო გარდასახადს და სხვა საჭიროებას მისცენ პასუხი და ეს ვაჟ-ბატონები-კი თვის ოფლის ფასის მეათედსაც არ აძლევენ ამ საცოდავებს.

*** გზათა სამინისტრომ მოსთხოვა რკინის გზების მმართველობას, რკინის გზაზედ მოსამსახურეთა სია შეადგინეთ და გამოგზავნეთო. სიაში უნდა იყოს აღწერილი მოსამსახურეთა წოდება, სარწმუნოება, სამხედრო ბეგარის გარდახდა, სამსახურში ყოფნის დრო და სხვ. ეს კანონები ძლიერ მოკლე ხანში უნდა წარედგინოს სამინისტროს.

*** გაზეთ „Кавказъ“-ს სწერენ ფოთიდგან, აქაურს საპატიმროში შავი სახადი გაჩნდაო.

*** გაზეთი „Гражд.“ იუწყება, რომ გზათა სამინისტროს უკვე განუხილავს კავკასიის ქედზე ავჭალიდგან კავკავამდე რკინის გზის გაყვანის პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

13 მაისი

ი. გ. მაჩაბელი. ბევრს არას დავუმატებ ექიმ გაბაშვილის ნათქვამს. მმართველობას ძალიან უყვარს ციფრებით ლაპარაკი და მეც იმათს მაგალითს მივმართავ. საანგარიშო 1891 წელს სესხი გაუციათ 1,476,000 მ. ამ ფულში გადახდილია 1,583,000 მ. ერთის სიტყვით მხოლოდ 500,000 მან. სესხია გაცემული. რადგანაც ბანკის ხარჯად მხოლოდ $1^0/_0$-ია გადადებული მსესხებელთაგან გარდახდილ მატების ფულიდგან, მაშასადამე ამ მხრივ 5,000 მან. მოგვმატებია. ამბობენ, რომ ბანკის ოპერაციებმა გაცილებით იმატაო. ციფრები-კი სულ სხვას ამბობენ. რომ შევუფარდოთ ეს საანგარიშო წელიწადი შარშანდელსა და შარშანწინდელს წელიწადს, აშკარად დავინახავთ, რომ ნამდვილად სესხს ამ წელიწადს 500,000 მანათით უმატნია. 1890 წელს სესხი გაიცა 1.340,000 მან., ხოლო 1889 წელს 1.806,000 მან. მაშასადამე, წარსულს წელიწადს სესხი გაცილებით მეტია გაცემული და ბანკის ოპერაციებიც შედარებით უფრო ვრცელი და რთული იყო. მმართველობა გვარწმუნებს, რომ 1 იანვრიდგან 1 მაისამდე თითქმის ორის მილიონის სესხის მიცემის საქმე გადავწყვიტეთო. შეიძლება, მაგრამ ჩვენ ამ საგნის შესახებ იმ დრომდე ვერას ვიტყვით, ვიდრე არ შევიტყობთ, ამ სესხში რამდენი გარდახდილია, ესე იგი წმინდა გაცემულობა უნდა ვიანგარიშოთ. გეკითხებით: თუ უფრო დიდი ოპერაციების დროს სამის წევრით მივდიოდით იოლად, ეხლა რაღაზედ დაგვჭირდა მეოთხე წევრი? მმართველობა ამბობს, ხშირად ისეთი შემთხვევა გვაქვს, ისეთი საბუთის ქაღალდები შემოაქვთ, რომლის დროსაც ვერც არსებული კანონ-მდებლობა, ვერც გამოცდილება ვერ გვაძლევს ძალას მისის გამორკვევისასაო. მაშ ვინ გამოარკვევს? ალბად მეოთხე წევრი თუ გამოარკვევს. ამ მოხსენებიდგან ხომ სულ ვერა გავიგეთ-რა: მმართველობის წევრი და აგენტი ერთმანეთში არეულია. კმარა, ბატონებო, იკმარეთ ამისთანა მოხსენების წაკითხვა და ჩვენც გვაკმარეთ ამეების კითხვა. (ტაშის ცემაა).

შაჭაზიზოვი. ვიდრე გადავწყვეტდეთ აქ აღძრულს საგანს, საჭიროა ვიცოდეთ, რამდენსა ჰხარჯავდა მმართველობა წევრ-კანდიდატის შრომის ფულად, როცა მმართველობის ერთი წევრთაგანი ბაქოში მიდიოდა, და რამდენი მამულია ბაქოსი ამ საანგარიშო წელს დაგირავებული? მე ასე ვფიქრობდი, რომ მმართველობას არც ისეთი მძიმე მოვალეობა აწვა, არც ისეთი დიდი შრომა ჰქონდა, რომ დაქანცულობა ეტყობოდეს. მაინც-კი, როგორც ვხედავ, ყველანი სანატრელად და ჯანსაღად არიან... (სიცილი გაისმის) პირველს წელიწადს თუ მსესხებელი ბევრი მოაწყდა ბაქოში, ეხლა აგრე აღარ იქნება და ამიტომ არც სააგენტოებია საჭირო, მით უმეტეს, რომ ბაქოცა და ბათუმიც ტფილისზედ ახლოა და ყოველი მსესხებელი ადვილად ჩამოვა. ჩვენ ხარჯის მომატებას და გაძლიერებას-კი არ უნდა ვფიქრობდეთ, არამედ იმას, რომ შველა და დახმარება აღმოვუჩინოთ მიწად-მფლობელობას, რომელიც, როგორც ვიცით, ამ ჟამად არც ისე სანუგეშო მდგომარეობაშია. ამის გამო დიდი ცოდვა არ იქნებოდა, რომ ბანკის მმართველობა თუნდა მოჰმატებოდათ კიდეც საქმე, ახალს ხარჯს აღარა თხოულობდეს და საზოგადო სარგებლობისათვის ცოტა უფრო მეტად შეიწუხოს თავი.

თ. ციციშვილი რაღასაც ამბობს; არა გაიგება-რა.

დ. ი. აკალიშვილი. ბ-ნმა გაბაშვილმა რამდენიმე ციფრი დაასახელა სხვა ბანკების ანგარიშებიდგან. ეს ციფრები აქა-იქ ამოღებულია, არჩევით, ნაკლულად და ამიტომ სავსებით ვერ აღნიშნავს გარემოებას საქმისას. ამიტომ ვეცდები მისი ცნობები შევავსო. მაგალითად მოვიყვან ს.-პეტერბურგის-ტულის ბანკს. ამ ბანკის მმართველობაში ხუთი წევრია, მაგრამ დიდ-ძალი სააგენტოები აქვს ბანკს არამც თუ პროვინციაში, თვით პეტერბურგშიაც-კი; ქალაქები უბნებად არის განაწილებული და ყოველს უბანს თავისი განსაკუთრებული აგენტი ჰყავს, რომელიც ცნობებს ჰკრეფავს ბანკისათვის და საქმეს უადვილებს. რაც შეეხება ბ-ნ მაჩაბლის ნალაპარაკევს მოგების შესახებ, უნდა ვსთქვა, რომ საქმე მოგება-კი არა, საქმე რიცხვია გატანილ სესხისა. თუ ამ მხრივ დავაკვირდებით ამ საგანს, ეჭვი არ არის, რომ ბანკის საქმეთა წარმოება გართულდა და იმატა.

გ. ი. თარხნიშვილი. მმართველობამ უკვე მოგახსენათ, რომ ბაქოში ახალ საკრედიტო დაწესებულების დაარსებას აპირებენ. თუ აქამდე იოლად მივდიოდით უაგენტოდ, ეხლა, ამ გარემოების გამო, ამ ქალაქის დამგირავებლები ხელიდგან გამოგვეცლება. შემდეგ აქა სთქვეს, რომ თუ სესხს უმატნია, ეგ იმიტომ-რომ $6^0/_0$ გირავნობის ფურცლებით სესხის გამტანი $5^0/_0$ სესხზე გადავიდნენო. მაგრამ სესხი მარტო ამ მხრივ არ არის გარდახდილი. სესხსავე იხდიდნენ აგრეთვე ისინიც, რომელთაც თავიანთი მამულები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში გადააგირავეს.

დ. ი. მუსხელოვი. მმართველობა საკოლეგიო დაწესებულებაა და რამდენიც უფრო მეტი წევრი ეყოლება, იმდენი უფრო შეაყოვნებს საქმეს. თუნდა თორმეტი წევრი ამოვარჩიოთ, საქმეს სიკეთე არა დაეტყობა-რა. ჩემის აზრით, მეოთხე წევრი საჭირო აღარ არის, ხოლო სააგენტოების გამართვა-კი კარგი წინადადებაა. საზოგადოების სურვილს წინ უნდა მივეგებნეთ, რომ მამულის დაგირავების საქმე გაუადვილოთ. ხოლო ჯამაგირი-კი მეტად ბევრი დაუნიშნავს მმართველობას სააგენტოსათვის.

თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილი. ტყუილად გავაგრძელეთ ეს საქმე. განა ეჭვი-ღა არის, რომ სააგენტოების გამართვა სასარგებლო საქმეა. მე ის მაოცებს, რომ ისინი, რომელნიც წარსულს წელს ისე თავ-გამოდებით გვირჩევდნენ სააგენტოების დაარსებას, ეხლა სწორედ ისინი არიან მმართველობის წინადადების წინააღმდეგნი.

ი. გ. ჭავჭავაძე. ბ-ნმა გაბაშვილმა რამდენიმე მაგალითი დაასახელა რუსეთის ბანკების ვითარებიდგან იმის დასამტკიცებლად, რომ დიდრონი ოპერაციები აქვთ, მაგრამ მმართველობის წევრი-კი იმდენივე ჰყავთ, რამდენიც ჩვენს ბანკსაო. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ შემთხვევაში საყურადღებოა საერთო რიცხვი სესხისა-კი არა, რაც-კი ამა თუ იმ ბანკს თავისს არსებობის განმავლობაში გაუცია, არამედ რიცხვი ყოველ წლიურის ოპერაციისა! ვისაც მაგალითი მოჰყავს, იმან ყოველ მხრივ უნდა გაგვითვალისწინოს ეს მაგალითი, სავსებით, რომ უტყუარი აზრი შევადგინოთ. აქ აგერ ხელთ მიჭირავს ფინანსთა სამინისტროს წელილი, რომლიდგანაცა სჩანს, რომ დონის ბანკს 1873 წ. გაუცია 345.000 მან. სესხი, შემდეგ 161,000 მანათისა, 439,000-სა, 33,000-სა, 18,000-სა, 180,000 ⁊ სხ. ს.-პეტერბურგის ტულის ბანკს 1873 წ. გაუცია 6 მილიონის სესხი, 1874 წელს—2 მილიონისა, 1875 წელს—3 მილ. და ასე მეტ-ნაკლებობით. წარმოიდგინეთ, ამის მიუხედავად ამ ბანკის

---

კომიტეტს ყველა ამისი პასუხი უსათუოდ მზად ექნება, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ გურია ამ შემთხვევაში დასავიწყებელი არ იყო.

დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც უპირველესს სახსარს ცხოვრებისას გურიის სოფელთა უმეტესობისათვის მევენახობა შეადგენდა. დარწმუნებული ვართ, რომ თუ რიგიანი პატრონი და ხელ-მძღვანელი გამოუჩნდება ამ საქმეს, შესაძლებელია, ხელ-ახლად ფეხზედ დადგეს, ხელ-ახლად უპირველესი ადგილი დაიჭიროს ჩვენ სამეურნეო საქმეთა შორის. ერთად-ერთი მაგალითი იყო საჭირო, რომ ხალხი დარწმუნებულიყო, თუ როგორ შეიძლებოდა ნაცრისა და მილდიუსაგან ვაზის გადარჩენა და შემდეგ თავის საქმეს თითონვე გაუძღვებოდა. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ გურულები მეტის-მეტად მიმბაძავი ხალხია და ყოველსავე ახალს ადვილად ითვისებს, თუ-კი, რასაკვირველია, რაიმე სარფა-სარგებლობას ელის. ამას სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ წელს თითქმის არც ერთი ოჯახი არ დარჩენილა გურიაში ისეთი, რომელსაც რამდენიმე მისხალი ევროპიულის ჯიშის აბრეშუმის ჭიის თესლი არ შეეძინოს და ამ ფრიად სასარგებლო საქმისთვის არ მოეკიდნოს ხელი. რაკი ეს ასეა, დიდი ლარი და ხაზი არც იმ ამბავს მოუნდებოდა, რომ გურულები მევენახობასაც ააყვავებდნენ, ერთხელ რომ მაინც მაგალითი ენახათ ამ საქმეში.

მაგრამ სად არის ეს მაგალითი? ამ ერთისა თუ ორის წლის წინად იყვნენ თურმე აქ საფილოქსერო კომიტეტისაგან გამოგზავნილი აგრონომები, რომელთაც თავადების ვენახს უწამლეს, ხოლო გლეხების კარ მიდამოსკენ არც-კი მიუხედნიათ. ის იყო და ის, შემდეგ ამის შესახებ გურია არავის მოჰგონებია, ხოლო გურულები-კი დღე ყოველ დიდის მწუხარებით იგონებენ ეგრედ წოდებულს „ჩხავერისა“ და „ჯანის“ ღვინოს, რომელიც ნაცარმა და მილდიუმა (იქნება ფილოქსერამაც) სრულიად გამოაცალა ხელიდგან.

ალვნიშნავთ რა გულ-მტკივნეულობით ამ გულ-სატკენ ამბავს, იმედი გვაქვს, საფილოქსერო კომიტეტი კვლავ უფრო გულ-მტკივნეულის თვალით შემოგვხედავს.

**

რაკი გულ-სატკენ ამბებზე ჩამოვაგდეთ საუბარი და რაკი, ძალიანაც რომ გვინდოდეს, გულ-მოსახვედრი და სასიამოვნო ჩვენ ხელთ არარაფერი მოიპოვება, ამიტომ, ნურას უკაცრავად, თუ ეს წერილი სულ ასეთის ამბებით გადავაჭრელო. ამ გათახსირებულსა და გაუკულმართებულს დროში ისიც დიდ საგმირო საქმედ მიმაჩნია, თუ სამწუხარო ამბავის მწუხარებით აღნიშვნა მოვახერხე.

სამწუხარო ამბად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენში ძალიან ადვილად შესაძლებელია, უბრალო სენმა ადამიანი წუთი-სოფელს გამოასალმოს და მკურნალის ნახვას-კი ვერ ეღირსოს. უბედურებაა და სწორედ ორკეცი უბედურება, კაცი მოკვდეს და იმის ჭირისუფალს ნიადაგ სასინანულოდ დაურჩეს, რომ მკურნალი მომეყვანა, მეწამლებინა, ეგებ ეს მეხი არ დამცემოდა თავსაო.

ვისაც თავისი არ დაუშლია და ჩვენს მაზრაში ავად გახდომა სწადია და თან ისიც უნდა, რომ უწამლოდ სული არ ამოხთეს, შემდეგ პირობაზედაც უნდა მოაწეროს ხელი:

ა) უსათუოდ მდიდარი უნდა იყოს, სახლ-კარითა და მამულ-დედულით-კი არა, არამედ ფერად-ფერადი ასიგნაციებით.

ბ) სამაზრო ქალაქიდგან მის ეზომდე უნაკლულო გზა-ტკეცილი უნდა იყოს გაყვანილი, რათა ეტლი თავისუფლად მიდი-მოდიოდეს.

და გ) ავად არ უნდა გახდეს ისეთ დღეებში, როცა ან წვიმს, ან თოვს, ან ქარი ჰქრის, ან სიცხეა, ან სიცივე, ე. ი., მოკლედ და მოჭრით რომ ვსთქვათ, ავად არ უნდა გახდეს, თუ რომ მეტის-მეტად დაწყნარებული მზიანი დარი არ არის.

ყოვლისავე ამისგან რა უნდა დავასკვნათ? რასაკვირველია ის, რომ ჩვენში, სადაც ასში ერთი მდიდარი და შეძლებული იშვიათად გამოერევა, სადაც სოფლები თითქმის სულ მთიან-კლდიან ალაგებზეა გაშენებული, ასე, რომ ეტლით სიარული-კი არა, ცხენოსნობაც გაძნელებულია და სადაც ზღვის სიახლოვის გამო უმეტეს ნაწილად ცუდი დარებია, მკურნალის ნახვა ნატვრის თვალია, მიუწდომელი საგანია.

ვისი ბრალიაო, ეგებ სთქვას რომელმამე მკითხველმა, თუ მკურნალს ცუდს დღეში გარედ გამოსვლა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველობას ჯამაგირი 27,000 მ. აქვს და ამას გარდა აგენტებს კიდევ 18,000 მან. აძლევს. იქ აგენტები აფასებენ კიდეც და ამით ბანკის მმართველობას საქმეს უადვილებენ. აი, ეს ცნობებიც რომ დაუმატოთ ბ-ნ გაბაშვილის მიერ შეკრებილს ცნობებს, მაშინ საგანი სულ სხვა სახეს მიიღებს.

ი. გ. მაჩაბელი. ბ-ნმა ანდრონიკაშვილმა განაცხადა, სააგენტოები საჭიროაო. მიკვირს, ზოგნი შარშან თითონვე გვირჩევდნენ ამას და ეხლა-კი უარს არიანო, და ხელი აქეთკენ მოიშვირა. შარშანაც ვამბობდი და ეხლაც ვამბობ, საჭირო არ არის არც აგენტი და არც მეოთხე წევრი. თუ არა-და, თუ ბაქოსთვის არის საჭირო, კავკასიის სხვა ქალაქებშიაც რატომ არ უნდა დავაარსოთ, მაგალითებრ, ერევანში. აგენტი იმ მხრივ დაგვეხმარება, რომ შეასუსტებს კონკურენციას ახალის საკრედიტო დაწესებულებათაო. ტფილისში მთელი ბანკის მმართველობა იყო და ვერ მოახერხა, რომ მამულები სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არ გადაეტანათ, და ბაქოში ერთმა აგენტმა რა უნდა მოაგვაროს?

გედევანიშვილი. მეოთხე წევრი უეჭველად საჭიროა.

ა. ფ. ჩოლოყაშვილი. ბანკის დაარსებიდგან ბანკს ჰყავს რწმუნებულნი, რომელნიც შრომის ფასად $^{0}/_{0}{}^{0}/_{0}$-ს იღებენ და ადგილობრივვე აძლევენ ცნობებს სესხის გატანის მსურველთ. ამას გარდა, მმართველობის წევრიც ხშირად დადიოდა ხოლმე ბაქოში დრო-გამოშვებით და ფულს იღებდა. მაშასადამე, ეხლა მმართველობა მხოლოდ ამ დაწესებულების უფრო გაფართოებას, გაძლიერებასა თხოულობს. აქა თქვეს, რომ სააგენტოები მაშინ დავაარსოთ, როცა ბანკის ოპერაციები იმატებსო. საკვირველია სწორედ! სააგენტოები სწორედ მაგ ოპერაციების გამატებისათვის არის საჭირო, სწორედ მაგის წამალია. როგორ უნდა იმატოს ოპერაციებმა, თუ ბანკს ამ მატების საშუალებას მოუსპობთ? ამასობაში ბაქოში დიდძალი ცალიერი ადგილებია, რომელიც ფულს ელის, რომ მოშენდეს. ეს საჭიროება ფულისა იგრძნეს კიდეც და საკრედიტო დაწესებულებას აარსებენ. ჩვენ ეხლა იმიტომა გთხოვთ, სააგენტოები გავაჩინოთო, და იმას-კი მერმისი გამოაჩენს, რამდენადაც დაგვეხმარება ეს სააგენტოები.

ქქ. ხუდადოვი. უცნაურად არის მთელი მოხსენება ბანკისა დასაბუთებული. საფინანსო ოპერაციებს ბანკებისას მეტი შემოსავალი არ მოაქვს უწინდელთან შედარებით. თუ მმართველობის წევრად ნამყოფის მიერ დასახელებული ციფირები მართალია, წევრის მომატებამ ფიქრადაც არ უნდა გაგვიაროს. ეს ციფირები ისე საყურადღებოა, რომ ყოველსავე დანარჩენს აზრი და მნიშვნელობა არა აქვს. სჩივიან, საქმე მეტად ბევრი გვაწევსო, მე ამ სიბევრეს საქმისას აქ არა ვხედავ. შეიძლება ბუჰჰალტერია იყოს მეტად დიდს ჯაფაში, თორემ მმართველობას მაგდენად არ მოჰმატებია შრომა, რომ მეოთხე წევრის მიმატების საბუთი მოეცა.

გ. ვაჩნაძე ხუდადოვისავე ნათქვამს იმეორებს და დასძენს, რომ მმართველობას მეტად გაუზვიადებია ბაქოს მნიშვნელობაო. მოხსენებაში უწერია... „რეიდი ზ სხ.“ ერთის სიტყვით, ბოროტად ჰხმარობს საგეოგრაფიო ტერმინებს... წარსულს წელს ერთი მოლაპარაკეთაგანი ამტკიცებდა, რომ მე ერთს საათში უფრო მეტს გავაკეთებ, ვიდრე სხვა ერთს კვირაშიო; მე ერთის თითით ავწევ სტოლს და სხვას-კი იქნება ამისათვის ზურგის დახმარება დასჭირდესო. მაშასადამე, საქმე იმაში ყოფილა, თუ ვინ არიან მმართველობის წევრებად (ქანდარა ტაშს სცემს).

დ. ა. გურამიშვილი. გავახსენებ კრებას, რომ მმართველობა აგრე დაჟინებით არა თხოულობს უეჭველად მეოთხე წევრს. იგი მარტო იმას არის მოწადინებული, რომ მომუშავეთა რიცხვი გამრავლდეს. იმედია, მმართველობა თავის თხოვნას სხვა სახით რითიმე გამოარკვევს.

ი. გ. ჭავჭავაძე. თქმა საჭიროა, მაგრამ აქ, კრებაში ვიღაცა თავმჯდომარეობს და არავის არაფერს ათქმევინებს. ზოგიერთმა განაცხადა, რომ ბანკის შემოსავალი 5,000 მანეთიაო. ასე რომ იყოს, მართლა ყოვლად შეუძლებელია მეოთხე წევრის მიმატება. მაგრამ ისე-კი არ არის, როგორც ბ-ნმა ხუდადოვმა განიმეორა სხვისი სიტყვები, არამედ ისეა, რომ საანგარიშო წელს 19,000 მან. გვქონია მოგება. ეს ფული შემდგარია იმ 1$^{0}/_{0}$-დგან, რომელიც ერთხანად ერთმევა მსესხებელს აუცილებელ ხარჯისათვის. ამ 19,000 მანათს ის 23,000 რომ მიუმატოთ, რომელიც ბანკს ამ წლის პირველ ოთხის თთვისა უნდა შემოუვიდეს, ჯამი ამ რიცხვებისა ვგონებ ოდნავაც არის გადააჭარბებს 5,000 მანეთს. რაც შეეხება შრომასა და ჯაფას სხვა-და-სხვა ბანკებისას, უნდა ვსთქვა, რომ აქ დასახელებულ რუსეთის ბანკებში არსებობს ესრედ წოდებული ნორმალური დაფასება, ესე იგი ყოველ ადგილისათვის ერთი და ერთი წინადვე აღნიშნულია, ფასი ადგილისა და ამის გამო მმართველობას ისე არა აქვს გაძნელებული საქმე, როგორც ჩვენ. ამას გარდა, რუსეთში მიწის საკუთრების საბუთები ფრიად აშკარა, ნათელი და უდავოა და ეს გარემოებაც მეტად ამარტივებს საქმეს. დასასრულ ორიოდე სიტყვაც. თ. ვაჩნაძემ სთქვა, ვითომ წარსულს წელს მეთქვას, რომ მე ერთს საათს გავაკეთებ იმას, რის გაკეთებასაც სხვა ერთს კვირასაც ვერ შეიძლებს-მეთქი. ეს მართალი არ არის. მე ჩემს შესახებ-კი არა, საზოგადოდ ვსთქვი: ერთი ერთს საათს უფრო მეტის გაკეთებას შეიძლებს, ვიდრე ზოგიერთი—ერთს კვირაში-მეთქი. ის სიტყვები რომ მეთქვა, რაც თ. ვაჩნაძემ მომაწერა, ჩემი თავი უნდა მექო. თავისის თავის მქებელი ადამიანი მეტად სულელი უნდა იყოს და მე-კი ჯერ სურვილი არა მაქვს სულელთა რიცხვში ჩარევისა (სიცილი).

მ. გ. მაჩაბელი. ბანკის შემოსავალი—5,000 მან. ვერ აკმაყოფილებს ბანკის მოსამსახურეთა ხარჯს. ბ-ნი ჭავჭავაძე ბრძანებს, 19,000 მან. შემოგვივიდაო. ჯერ კიდევ გამოსარკვევია, კანონიერია თუ არა ეგ აღება, ეგ შემოსავალი, მეტადრე მაშინ, როდესაც იმ ძველს მსესხებლებს ვახდევინებთ მაგ 1$^{0}/_{0}$-ს.

შემდეგ თავმჯდომარემ ითხოვა ამ საგანს კენჭი ვუყაროთო. ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მარტო სააგენტოების საქმეს დავუდგათ ყუთი, თუ მეოთხე მმართველობის წევრის მიმატებასაცაო. დასასრულ ყუთი სააგენტოების დაარსებას დაუდგეს და ეს საგანი კრებამ ხმის უმეტესობით უარ-ჰყო.

## რუსეთი

სარატოვის გუბერნატორმა შემდეგი ცირკულიარი დაბეჭდა გაზეთში: „მთავრობის მიერ ხალხის გამოსაკვებად მოცემულის ფულის განაწილება და დახარჯვა სარატოვის გუბერნიაში მე მაქვს დაკისრებული და, რადგან ამ ჟამად მინდვრებში მუშაობა უკვე დაიწყო და ხალხმა თითონ უნდა იზრუნოს თავის გამოსაკვებად და უეჭველად იშოვნის კიდეც რაოდენსამე საშოვარს, ამიტომ საჭიროდ ვცან, რომ კაცის თავზე თთვეში 1 ფუთის პურის მაგიერად 30 გირვანქა-ღა ვაძლიო, რომ მუქთად კვების გამო ხალხმა მუშაობა არ დაიზაროს. ესეთი შემცირება სესხისა პირველ მაისიდგანვე უნდა მომეხდინა, მაგრამ, რადგანაც გზების შეკვრის მოლოდინისა გამო სესხი მარტისა და აპრილისა მიეცათ და ერთი ნაწილი აპრილის სესხისა მარტშივე იქმნა მოხმარებული, ამიტომ შესაძლოდ მიმაჩნია, რომ ხსენებული შემცირება მხოლოდ თიბათვის სესხში მოვახდინო“-ვო. მაშასადამე, სარატოვის გუბერნიის მცხოვრებთ მხოლოდ ივნისში შეუმცირდებათ სესხი და ისიც რა შემცირება იქნება? ერთის ფუთის მაგიერ კაცის თავზე თთვეში 30 გირვანქა პური მიეცემათ. ეს შემცირებული სესხიც რომ ავიღოთ, მაინც სარატოვის გუბერნიის მცხოვრებლებმა მეტი უნდა აიღონ პური სესხად, ვიდრე ზოგს სხვა გუბერნიებში იღებენ და იღებდნენ აქამდე. ეს გარემოება აშკარად გვიმტკიცებს, თუ რა სიფრთხილით იქცევა სარატოვის გუბერნატორი. სხვა გუბერნიებში ასე ფრთხილად არ ეკიდებიან ამ საქმეს. მაგალითად, ორიოლის გუბერნიაში წინად სესხი კაცის თავზე თთვეში მხოლოდ 30 გირვანქა პური იყო და ამ ჟამად ეს სესხი ძლიერ შეამცირა საბჭომ. მართალია, ორიოლის გუბერნია სარატოვის გუბერნიის ოდენად არ დაზარალებულა მოუსავლობით, მაგრამ იქაც-კი ზოგს მაზრაში საშინელი გაჭირვება დაატყდა ხალხს თავსა, რასაც თვით ის გარემოება ამტკიცებს, რომ ორიოლის ერობა დიდს კრედიტსა სთხოვდა მთავრობას ხალხის გამოსაკვებად.—ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ მუშის დღიურმა ფასმა ძლიერ დაიწია სხვა-და-სხვა ადგილას. ამის შესახებ ერთი გაზეთი შემდეგსა სწერს: „ერობის მიერ გამოსაკვებ სესხის გაცემის შემცირებამ მრავალნი იძულებულ ჰყო, აქეთ-იქით წასულიყვნენ სამუშაოსა და საშოვრის საძებნელად. ამის გამო მუშის ფასმა ძლიერ დაიწია. თთვეში 2—3 მანეთზე მეტს არ აძლევენ მუშას, წინად-კი სწორედ გაზაფხულზე აიწევდა ხოლმე მუშის ფასი“. ამ სახით სესხის შემცირება გაჭირვებას აყენებს მუშა ხალხს და თანაც საშოვარს ძლიერ უმცირებს ამ სიმშილის დროს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ზემოხსენებული გაზეთი ქალაქ ელეცკის შესახებ ლაპარაკობს. ელეცკი დიდი სავაჭრო, საალებ-მიცემო ადგილია და თუ იქ დაიწია და დაფოლავდა მუშის ფასი, სხვაგან ხომ უარესი იქნება. ამიტომ მოსალოდნელია, რომ გამგენი ხალხის გამოკვების საქმისა სხვა-და-სხვა გუბერნიაში სარატოვის გუბერნატორისავით ფრთხილად მოიქცევიან და სესხს არ შეუმცირებენ დამშეულს ხალხსა და ან, თუ უკვე შეუმცირებიათ, კვლავ მოუმატებენ.

## უცხოეთი

**ინგლისი.** გაზეთებმა დაწვრილებითი ამბები მოიტანეს იმ სიტყვის შესახებ, რომელიც ლორდმა სალისბერიმ წარმოსთქვა 6 მაისს გასტონგში, სადაც იმ დროს კონსერვატორნი იყვნენ შეკრებილნი. აღნიშნა რა, რომ საგარეო პოლიტიკაში სრული მშვიდობიანობა სუფევსო, ორატორი შეუდგა განხილვას შინაურის ცხოვრების უმთავრეს საყურადღებო საგნებისას. საჭირო და სასურველიაო, სთქვა სალისბერიმ: რომ მუშებს იმდენი ეძლეოდეთ შრომის ფასად, რამდენიც ეყოფად გაუჭირვებელ საცხოვრებლად, და თანაც თავისუფალი დროც შერჩეთ ზნეობრივ და გონებრივ განსავითარებლად; მაგრამ ამ საქმის აღსრულება შესაძლებელი არ არის მთავრობის მიერ სხვა-და-სხვა ღონისძიების ხმარებით და მხოლოდ შედეგად მოჰყვება მუშებისა და საქმის პატრონთა მიერ თავ-თავიანთის ვალდებულების რიგიანად შეგნებას; შემდეგში საჭიროდ სცნობენ სამედიატორო სასამართლოს მუშათა საქმისათვის. ინგლისის საგარეო ვაჭრობის აწინდელ მდგომარეობის შესახებ სალისბერიმ შემდეგი აზრი გამოსთქვა. უცხო სახელმწიფონი ვაჭრობას მფარველობას უწევენ და ინგლისს ხელიდგან აცლიან ბაზრებს. თუ გვინდა, რომ რიგიანად გავუწიოთ

---

უეტლოდ წასვლა-მოსვლა არ ეხერხება, ხოლო ეტლის დაქირავება ღარიბთა ჯიბეს არ ეხერხება და ეტლები კიდევ ჩვენ უგზო-უკვლო სოფლებს არ უდგებაო? ბრალი არავისი. მხოლოდ მე იმის თქმა მინდა, რომ მკურნალობაზედ ხელ-მიუწდომლობა დიდი უბედურებაა იქ, სადაც ათას გვარი სენი და მოარული ჰბუდობს და ჰბატონობს. მკურნალს, ჩემის აზრით, ყოველივე გარემოება უნდა უწყობდეს ხელს, რომ ყველას განურჩევლად ეოხოს და ესალბუნოს, ხოლო თუ მაინცა და მაინც გარჩევაზედ მიდგება საქმე, მაშინ თავის მოქმედების სასწორი ღარიბებისკენ უნდა გიდაჰხაროს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მკურნალი აბუჩად იგდებს საზოგადოებას, რომლის მკურნალობაც უკისრნია; პირ-შავად ეპყრობა თავის სამღვრთო მოვალეობას, რომლის პირ-ნათლად აღსრულებაზეა დამოკიდებული მრავალთა სიკვდილ-სიცოცხლე და ამ ნაირად სახელს მკურნალისას ტყუილ-უბრალოდ ატარებს.

გამოვაქვეყნეთ ეს ამბავი იმიტომ კი არა, რომ იშვიათი რამე იყოს, არამედ იმიტომ, რომ

დიდი ლხენაა ჭირთა თქმა
თუ კაცსა მოუნდებოდეს!

ამას გარდა ის ამბავიც ძალიან მიამა, რომელსაც გაზ. „Новости“ გვატყობინებს: „ამ ჟამად შემუშავებულია ახალი კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც მკურნალები და ბეითლები 3 თთვით დაპატიმრებით ან 300 მან. ჯარიმით დაისჯებიან, თუ მთავრობას არ შეატყობინეს, როცა მათდა მინდობილ მაზრაში რაისე გადამდები სენი გაჩნდება»-ო. თუ ეს კანონ-პროექტი შეწყნარებულ იქმნა, მოსალოდნელია, მკურნალები უფრო გულმოდგინედ მოეკიდებიან თავიანთ საქმეს და გადამდებ სენის გაჩენის შესახებ სოფლის მამასახლისთა და მწერალთა მოხსენება-აღწერას არ დაყაბულდებიან, როგორც აქამდე იყო, არამედ ყოვლისავე ამის გამო თითონ შეიტკივებენ თავს.

**

ამ ნაირად ყველაფერს ეშველება, ყველაფერს ეწამლება რამე, ხოლო ჩვენს რკინის გზებზე თავ-გასულ მოქმედებას ზოგიერთა ვაჟ-ბატონებისას რა საშველი და წამალი აქვს, აღარ ვიცით და რომ ვიცოდეთ კიდეც, რა ბედენაა ამ საქმეში ჩვენი ცოდნა. საკვირველია, რომ ყოველის მხრიდგან, რკინის გზის ყოველ სადგურიდგან ამ უწესოებათა შესახებ სამდურავი და საჩივარი ისმის, მაგრამ ეს უკურნებელი წყლული ისევ უკურნებლად რჩება. მაშასადამე, ჩემი საჩივარიც, როგორც ბევრი სხვა, ჩაილულის წყალს დაჰლევს, ვიცი, ხოლო გული მაინც არ მითმენს იმის გამოუქვეყნებლად დატოვებას. საქმე იმაშია, ბატონებო, რომ ამას წინად ერთ რკინის გზის სადგურზედ არა ჩვეულებრივ ამბის მოწამე გავხდი. მატარებლის მომლოდინე ხალხს ბლომად მოეყარა თავი და ზარის დარეკას უცდიდა, რომ ბილეთი აეღო დ გამგზავრებულიყო. თავის დროზედ დარეკეს კიდეც და ეს ამოდენა ხალხი კასისკენ გაექანა ბილეთისათვის, მაგრამ ბილეთის გამცემი არსადა ჩანდა. თურმე ნუ იტყვით, მებილეთე ვაჟ-ბატონი ამ დროს ქეიფს ეწეოდა და ბახუსის თაყვანის ცემაში იყო გართული. მატარებლისთვის ეს გარემოება აბა რა შესაწყნარებელი მიზეზი იქნებოდა. მატარებელი თავის დროზედ მოვიდა, თავის დროზედ წავიდა და წასასვლელად მომზადებული ხალხი-კი უბილეთობის გამო პირ-კატა-ცემული ისევ სადგურში დარჩა. ბოლოს გამოჩნდა ისიც, რომლის მეოხებითაც ხალხი წაუსვლელი დარჩა. ნუნუას ისე ლაზათიანად დასწაფებოდა, რომ ლაპარაკს ძლივს ახერხებდა, იქით-აქეთ ეკეცებოდა და სრულიად გაჭარხლებულიყო. შემოეხვივნენ აქეთ-იქიდგან საყვედურით, რაზედ დაგვარჩინეო, მაგრამ პასუხის თავი ვისღა ჰქონდა. დასასრულ წამოილაპარაკა, რომ მანდილოსნები დამიტოვეთ, მე მოვუვლიო, ხოლო ქუდოსნებს საქონლის მატარებლით გავამგზავრებო. ამ სიტყვებით მგზავრები შეურაცხყოფილნი დარჩნენ, მაგრამ რაღას იქმოდნენ გარდა იმისა, რომ საჩივრის წიგნი მოითხოვეს და ეს ამბავი დაწვრილებით აღნიშნეს შიგ.

არ ვიცი, რა გამოვა ამ საჩივრისაგან, მაგრამ ის-კი ნამდვილად ვიცი, რომ ამდენი უწესოება თუ არ მოისპო და არ განწესიერდა საქმე, შესაძლოა ბევრჯელ უბედურებაც დატრიალდეს ჩვენს უიმისოდაც უბედურს ქვეყანაში.

დათიკო ვერმიცანაშვილი

მეტოქეობა, უნდა პირობათა დადების შემწეობით ვიბრძოლოთ. ინგლისელნი იმ აზრს ვადგევართ, რომ ვაჭრობა თავისუფლად უნდა სწარმოებდესო და ამ გარემოების წყალობით ჩვენს მეზობლებს უკვე მიენიჭათ ყოველ გვარი სავაჭრო უპირატესობა. ვიდრე უმრავლესობა ჩვენის ქვეყნის მცხოვრებთა აზრს არ შეიცვლის ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, მანამდე მთავრობაც თავის მხრივ ვერ შეიძლებს, ცვლილება რამ მოახდინოს სავაჭრო პოლიტიკაში. თუ ინგლისს ჰსურს ამ სატარიფო ომის დროს თავისი საპატიო ადგილი არ დაჰკარგოს, უნდა მზად იყოს სასტიკ ღონის-ძიებათა სახმარებლად იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელნიც მეტოქეობით ხელს უშლიან ინგლისიდგან სავაჭრო საქონლის გაზიდვას. პირველ ამ გვარ ქვეყნად უნდა დაისახოს ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები. ორატორი ურჩევდა აღკრძალვას უგარდასახადოდ ამერიკიდგან შემოტანას: ღვინისას, სპირტეულ ნაწარმოებისას, აბრეშუმისას, არშიებისას, ხელთათმანებისას და სხვ., გარდა დაუმუშავებელ საქონლისა და პურისა. დასასრულ ლორდმა სალისბერიმ ირლანდიის საქმის შესახებ ილაპარაკა.

**საფრანგეთი.** ამ ჟამად პარიჟში ქალების საზოგადოებათა კონგრესია გამართული. სხვათა შორის ამ კონგრესის მეორე კრების დროს მრავალი დეპეშა, წერილები და ადრესები იქმნა წაკითხული, სხვა-და-სხვა ქვეყნებიდგან მოსული. ქ-ნმა ბეკემ წაიკითხა მოხსენება ფეხ-მძიმე ქალთა მდგომარეობის შესახებ ქარხნებში. თანახმად ქ-ნ ბეკეს წინადადებისა კონგრესმა სურვილი განაცხადა, რომ ყველგან გამართულ იქმნას თავშესაფარები ფეხ-მძიმე ქალთათვის, რადგან სარგებლობა სახელმწიფოსი მოითხოვს, რომ ყმაწვილს ფაქიზი მოვლა ჰქონდეს არამც თუ დაბადების შემდეგ, არამედ დაბადების წინადაცკი. ეს ღონისძიება უკეთესი იარაღი და საშუალება იქნება საფრანგეთის მცხოვრებთა შემცირების წინააღმდეგ, რაიცა უკვე დამტკიცებული და დასაბუთებული ამბავია ყველასათვის. კონგრესმა გარდასწყვიტა, რომ ყველა ქალთა საზოგადოებამ იშუამდგომლოს თავისის მთავრობის წინაშე და განახორციელებინოს ხსენებული საქმე. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქ-ნმა მირტილ-რენიემ «ქალთა მოვალეობა საერთო მშვიდობიანობის საქმეში“. კონგრესმა ამ საგნის შესახებ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: ყოველი ქალი წევრი დედათა საზოგადოებებისა კისრულობს აზრების დროს ჩააგონოს თავის შვილებს შვიდობიანობის მოყვარეობა და ხელი შეუწყოს ყოველ ღონისძიებას საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს საზოგადოებს.

ამას გარდა, კონგრესმა მეორესა და მესამე კრებაზედ ბევრი სხვა საყურადღებო საქმეც განიხილა.

## დეპეშა

18 მაისი

**პეტერბურგი.** სინდიკატი კონვერსიისა იწვევს სათადგილ-მამულო ბანკების 6% გირავნობის ფურცლების მფლობელებს წარმოადგინონ თავიანთი 6% ფურცლები 5% გირავნობის ფურცლებზედ გარდასაცვლელად. ნომრები კონვერსიის ტირაჟში გამოსულ ფურცლებისა აღნიშნულია სატირაჟო ტაბლიცებში, რომელსაც უსასყიდლოდ იძლევიან სათანადო სათადგილ-მამულო ბანკები და მათი აგენტები, სახელმწიფო ბანკი, მისი კანტორები და განყოფილებანი, ვოლგა-კამის საკომერციო ბანკი პეტერბურგში და მისი განყოფილებანი, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკი პეტერბურგში და მისი განყოფილება კიევში, პეტერბურგის გამანაღდებელი რუსეთის საგარეო ვაჭრობისთვის დაარსებული ბანკი პეტერბურგში და მოსკოვის სასოვდაგრო ბანკი მოსკოვში. ყოველს ზემოხსენებულს დაწესებულებაში ძველი 6% გირავნობის ფურცლები გარდაიცვლება ახალს 5% გირავნობის ფურცლებზე დარჩმეულის ფასით 100—100-ზე. პროცენტების მიმდინარება ძველის 6% ფურცლებით თავდება 1 ივლისს და იმ დღიდგანვე იწყება პროცენტების მიმდინარეობა ახალის ფურცლებით. ფურცლების გარდაცვლის ვადა 1892 წლის 15 ივნისს თ ავდება.

**რიგა.** გემმა „Бородино“-მ 14,000 ფუთი ფქვილი მოიტანა, რომელიც ამერიკელებს შეუწირავთ დამშეულ რუსთა სასარგებლოდ.

19 მაისი

**პეტერბურგი.** „Новое Время“-ს გაუგონია, კომისიამ, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საფუძველნი შემოსავლის კვალობაზედ ხარჯის შეწერისა, დაასკვნა, რომ აწინდელის ხარჯთა გაწერის ვითარების მიხედვით ხსენებული გარდასახადი 15—20 მილიონზე მეტს შემოსავალს ვერ მოიტანს წელიწადშიო.

„Гражданинъ“-ს გაუგონია, სახელმწიფო საბჭომ გუშინ დაამთავრა საქალაქო დებულების განხილვაო.

„Петер. Вѣд.“-ს გაუგონია, დამტკიცებულ იქმნა წესდება პერმის სახელსაქმო სამრეწველო ბანკისა, რომელიც ნიმუში იქმნება სხვა მის მსგავს დაწესებულებათაო.

**ბერლინი.** დედოფალი და დედოფალი რეგენტშა ნიდერლანდისა გუშინ საღამოს მიბრძანდნენ რკინის გზის სადგურს ვილპარკში, პოტსდამის მახლობლად. მათ მიეგებნენ იმპერატორი მეუღლითურთ, პრინცები გერმანიისა და პრუსიისა და სხვა წარჩინებულნი.

პეტერბურგის ბირჟა, 16 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,87 | 7,89 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 151¼ | 151¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 239½ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 219½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 194¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | 101 | — ,, | — ,, |
| 5% | 99 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 101 | — ,, | — ,, |
| 5% | 99½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 | | |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განადისაითს.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანდ 6 „

## განცხადებანი


იძლევა ქირით

**სარდაფი**

ავჭალის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

**მაღაზია სარპინკებისა**

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სცეფანოვი**

(35—56—17)

**ახალი სტამბა**

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლში, იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბას აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. | 10 მ.—კ. | | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ტფილისს, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლში. № 21.